ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № 33

2025 წლის 06 ნოემბერი
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

შევიდეს შემდეგი ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში (ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 28/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.138.016443) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი 2-ის სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე საბა კბილაშვილი

დანართი 2

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოზიციების რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	3000
2	საკრებულოს სპეციალისტი ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხებში	1	2000
3	საკრებულოს სპეციალისტი ინფრასტრუქტურულ საკითხებში	1	2000
4	საკრებულოს მოსახლეობასთან ურთიერთობის ხელშეწყობის კოორდინატორი	1	2000
5	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირადი მძღოლი	1	1740
6	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგე მძღოლი	1	1500
7	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	1	1200
8	მდივან -რეფერენტი	1	1380